სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

KA080112345287818

საქართველო, ქ. თბილისი 0113, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8 / 8 Richard Holbrooke str., Tbilisi 0113, Georgia
⚐ www.procurement.gov.ge ✉ info@procurement.gov.ge ☎ +995 32 2 242 248

№ 2024 04 / ივნისი / 2018 წ.

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის
(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დაცვისა და
დახმარების სახელმწიფო ფონდი”
ს/კ 205169592
მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დაცვისა და
დახმარების სახელმწიფო ფონდის“
სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს და მის წევრებს:

თავმჯდომარეს: ბატონ ლაშა ჯინჯიხაძეს

წევრებს: ქალბატონ ბელა გოგუას

ქალბატონ ირმა ალადაშვილს

ქალბატონ ნათია ბერიკაშვილს

ბატონ დავით ურუშაძეს

ბატონ გენადი სადუნიშვილს

ბატონ გიორგი ლაითაძეს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიერ 2018 წლის 19 მარტის № 07/424 წერილით წარმოდგენილი განმარტება სააგენტოს 2018 წლის 13 მარტის № 986 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება NAT180000740 ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებულ შესყიდვას, რომელშიიც გამოვლენილი იქნა კანონდარღვევის ფაქტები, კერძოდ::

შეეხება NAT180000740 ელექტრონული ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის შპს „ბუგასის“ მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი ფასების ცხრილის არც ერთ პოზიციაზე (გარდა მე-14 პოზიციისა) არ არის მითითებული შემოთავაზებული საწმენდი საშუალებების შეფუთვის ზუსტი მოცულობა და აღწერაში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „არანაკლებ“, „არაუმეტეს“. მიუხედავად აღნიშნულისა, სატენდერო კომისიას არ მიუმართავს პრეტენდენტისთვის ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური

დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს მას გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადას. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო კომისიას წარედგინება სისტემის მეშვეობით. ამასთან, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მოსთხოვა წარმოედგინა სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის 2.7.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები, რომელიც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა უცხოურ ენაზე, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებს არ ახლავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამისობაში ცნო სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად სატენდერო წინადადების ან მისი შემადგენელი დოკუმენტის წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. დოკუმენტის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე. დოკუმენტთან დაკავშირებული სადავო საკითხ(ებ)ის გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიაჩნია, რომ კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა შპს „ბუგასის“ გამარჯვებულად გამოვლენა.

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩადენილი ქმედება ექცევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159^{6} მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 06 ივნისს 11:00 საათზე შედგება სხდომა. თქვენ უფლება გაქვთ, სხდომაზე წარმოადგინოთ წერილობითი განმარტება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით თქვენთვის დადგენილი უფლება-მოვალეობის განხორციელების მიზნით გთხოვთ, ზემოაღნიშნულ დროს (2018 წლის 06 ივნისს 11:00 საათზე) მობრძანდეთ ან მოავლინოთ შესაბამისად უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (მის: ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. № 8). იმ შემთხვევაში, თუ სხდომას არ დაესწრება უშუალოდ სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი, მისმა წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.

უფლება გაქვთ ოქმს დაურთოთ ახსნა-განმარტებები და გამოთქვათ შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით. ასევე, უფლება გაქვთ ჩამოაყალიბოთ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა ან/და გამოუცხადებლობა არ იძლევა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე